რეცენზია ლამარა ქოქიაურის მონოგრაფიაზე: „ინტელექტუალური კაპიტალი“

თანამედროვე მსოფლიოს მეურნეობა გასული საუკუნის 90–იანი წლებიდან ეკონომიკური განვითარების თვალსაზრისით, გარკვეულწილად, ერთგვაროვანი გახდა – ქვეყანათა დიდი უმეტესობა ეკონომიკური განვითარების ძირითად მიმართულებად საბაზო ეკონომიკას აღიარებს. საერთაშორისო ეკონომიკურ ურთიერთობებში აქტიურად ერთვება მსოფლიოს ყველა ქვეყანა: ისინი ცდილობენ თავიანთი ადგილის დამკვიდრებას მსოფლიო თანამეგობრობაში, რაც გარკვეულწილად მსოფლიო ბაზრისთვის მაღალკონკურენტიანი ანუ მეცნიერებატევადი პროდუქციის მიწოდებითაა შესაძლებელი.

ასეთ პირობებში ქვეყნისა თუ სამეურნეო სუბიექტებისათვის მეტად აქტუალური პრობლემაა ინოვაციური ეკონომიკის, ინოვაციური პროდუქციის შექმნა, რაც მეტად რთული, ხანგრძლივ დროსთან დაკავშირებული, შრომატევადი, დიდ ხარჯებთან და ასევე დიდ რისკთან დაკავშირებული პროცესია. თუმცაღა აღნიშნულის გარეშე მკაცრ კონკურენტულ ბრძოლაში წარმატების მიღწევა შეუძლებელია როგორც ქვეყანათა შიდა, ასევე მსოფლიოს ბაზრებზე.

აღნიშნულ პრობლემებს ეძღვნება ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორის, საქართველოს ეკონომიკურ მეცნიერებათა და ნიუ–იორკის მეცნიერებათა აკადემიების ნამდვილი წევრის, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სრული პროფესორის ქალბატონ ლამარა ქოქიაურის მონოგრაფია – „ინტელექტუალური კაპიტალი”.

ქართული მეცნიერული პოტენციალის ინტელექტუალური კაპიტალი ადამიანური კაპიტალის ინოვაციური ეკონომიკის კვლევებს მრავალი ქართველი მეცნიერ–ეკონომისტის შრომებია მიძღვნილი, მაგრამ წარმოდგენილ მონოგრაფიაში მეცნიერთმცოდნეობის, მეცნიერების ეკონომიკის ბევრი აქტუალური საკითხი ახლებური რაკურსითაა წარმოდგენილი. კერძოდ: ქართველი ეკონომიკური პრობლემების კვლევართაგან ავტორი პირველად სვამს ინტელექტუალური კაპიტალის კომერციალიზაციის თეორიულ თუ პრაქტიკულ საკითხს. ასევე ეს არის პირველი ქართულ ენაზე გამოცემული წიგნი, რომელშიც განხილულია ინოვაციური პრობლემების მართვის საკითხები. დღეისათვის ინტელექტუალური კაპიტალის მართვის პროცესის განხორციელებას ბევრი თეორიული, მეთოდოლოგიური და მეთოდური ასპექტი სათანადო დონეზე არ არის შესწავლილი. მონოგრაფიის ავტორის დამსახურებაა ამ მიმართულებით განხორციელებული კვლევა, მეცნიერებატევადი საწარმოების ინტელექტუალური პოტენციალის ეფექტიანი მართვის უზრუნველყოფის თეორიის დამეთოდოლოგიის მიმართულებით.

აღნიშნულ მონოგრაფიას თეორიულთან ერთად დიდი პრაქტიკული მნიშვნელობაც აქვს. მასში განხილულია კომპანიებსა თუ ცალკეულმ ორგანიზაციებში შექმნილი ფასეულობების გადიდების პრაქტიკული ღონისძიებები. ასევე მოცემულიაკომპანიის ძირითადი სტრატეგიის განხორციელების მიმართულებები ისე, რომ პასუხი გაეცეს მენეჯმენტის საკითხებს, კერძოდ, საჭირო რესურსების გარანტირებულ უზრუნველყოფას და მათ ეფექტიანად გამოყ-

ენებას. მონოგრაფიის გაცნობით მეცნიერების ეკონომიკის საკითხების კვლევებით დაინტერესებული პირის ან ბიზნესის წარმომადგენლის შეეძლება გაეცნოს ინტელექტუალური კაპიტალის რესურსების გაზომვის საიმედო ხერხებს.

მონოგრაფიაში თანამიმდევრულადაა განხილული ინტელექყუალური კაპიტალის ფორმირებისა და ფუნქციონირების ძირითადი მიმართულებები, კერძოდ:

- ინოვაციური კაპიტალი, როგორც ეკონომიკის ინოვაციური განვითარების ფაქტორი;
- ინტელექტუალური კაპიტალის მართვის საბაზისო თეორიული წინაპირობები და პრინციპები;
- ორგანიზაცის იტელექტუალური კაპიტალის განსაზღვრის საკითხები;
- ინტელექტუალური პოტენციალის და ინტელექტუალური საკითხების შეფასება;
- ორგანიზაციის ინტელექტუალური ინოვაციური საქმიანობა;
- ინოვაციური კაპიტალის მართვის მექანიზმი;
- ინტელექტუალური კაპიტალის კომერციალიზაცია და მისი მართვის მეთოდოლოგია;
- XXI საუკუნე -ცოდნის საზოგადოება;

საბოლოოდ შეიძლება დავასკვნათ, რომ ქართული სამეცნიერო ეკონომიკური ლიტერატურას კიდევ ერთი ფუნდამენტური ნაშრომი შეემატა. აღნიშნულ მონოგრაფიას უდიდესი თეორიული და ასევე პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს: ეკონომიკურ ცოდნას გააძლიერებს რიგი თეორიულ-მეთოდოლოგიური საკითხების კვლევით და ასევე მენეჯმენტის სპეციალისტები ფირმისა და კომპანიის დონეზე შეძლებენ ღირებული მეთოდებისა და პრაქტიკული საკითხების გაცნობას ინოვაციური მენეჯმენტის რიგი საკიტხების გადაჭრის გზით.

იმედია, ავტორი მის ერთგულ მკიხველს კიდევ მრავალი საინტერესო კვლევის შედეგს გააცნობს მსგავსი გამოცემების სახით.

ვახტანგ დათაშვილი –
ჟურნალ „სოციალური ეკონომიკა. XXI საუკუნის აქტუალური პრობლემების“ მთავარი რედაქტორი
გიორგი ცაავა, გიორგი გამსახურდია
ე.მ.დ.-ები, სტუს-ს რული პროფესორები